

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 1**

ქ. თბილისი

3.02.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)  
წევრები:**

**ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო“ (MCA - Georgia)  
„მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების“ პროექტის  
მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;**

**გრიგოლ მურილია - ფილოლოგის დოქტორი, მსს „ამერიკულ-ქართული განათლების  
ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**

**თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატირიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის  
სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.**

**შალვა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი  
ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე;**

**რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის  
საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;**

**გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების  
მენეჯერი;**

**მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების  
პროგრამის დირექტორი;**

**ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;**

**თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;**

**გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის  
მოწვეული პროფესორი.**



**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ლალი შაიშმელაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ)

**ნინო ჟვანია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (მ/შ)

**თამარ ხატიაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**1. შპს გეტი**

ლინა ხარაზიშვილი- აღმასრულებელი დირექტორი;

ლია კობაიძე-ქოიავა- გენერალური დირექტორი;

ნანა მელიქაძე- დირექტორის მოადგილე;

იაგო თარიმანიშვილი- იურისტი.

**2. შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლა  
მარინე ტალახაძე- დირექტორის მოადგილე**

**3. შპს კავკასიის აკადემია**

ევატერინე აზარაშვილი- კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის დეპარტამენტის დირექტორი;

ირმა კუხიანიძე- კავკასიის აკადემიის იურისტი;

შოთა წიქარაძე- კავკასიის აკადემიის დირექტორი.

**4. შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმი**

ელგუჯა დავითაძე- დირექტორი;

ნათია მავარაძე- დირექტორის მოადგილე

შორენა დევაძე- იურისტი

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-  
ექსპერტები):**

- ნინო ფეტვიაშვილი;
- მანანა თურქაძე;
- ქეთევან ბოტკოველი;
- თეა სალუქვაძე;
- ნელი ნასყიდაშვილი;
- თამარ ამზაშვილი;
- მარიამ ხუციშვილი;
- მიხეილ ტეფნაძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ  
ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის



დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას 15:00 საათამდე უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურდულიამ.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:15 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. შპს გეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს კავკასიის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.



## 1. შპს გეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე.

ექსპერტმა ნინო ფეტვაშვილმა საბჭოს წარუდგინა ჯგუფის დასკვნა თითოეული სტანდარტისათვის. მან აღწერა ვიზიტის შედეგები და აღნიშნა, რომ სკოლაში ვიზიტისას დაფიქსირდა როგორც არსებითი, ასევე არაარსებითი ხარვეზები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა სამივე საფეხურზე და სწავლობდა 255 მოსწავლე. დაწესებულების 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ აუცილებელ დატვირთვას, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლისას გამოიკვეთილ რამდენიმე ხარვეზზე:

- პირველ კლასში პირველი უცხოური ენა - ინგლისური ენა - ისწავლებოდა არა როგორც სავალდებულო, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, არამედ როგორ სავალდებულო დამატებითი საგანი. სკოლა ხელმძღვანელობდა მომავალი სასწავლო წლისთვის დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით.
- მეთორმეტე კლასში მათემატიკის კვირეული დატვირთვა არ იყო სრული, განსაზღვრული იყო 4 საათი, ნაცვლად 5 საათისა. არჩევითი საგანი-ქიმიური ტექნიკოგიები- I სემესტრში ისწავლებოდა ერთი საათი კვირაში, ორი საათის ნაცვლად, რაც არ შეესაბამება ესგ-ს მოთხოვნებს.
- მე-12 კლასში სასწავლო პროცესი კვირაში 3 დღე მიმდინარეობდა.
- დაწყებითი საფეხურის ფარგლებში სკოლა სხვადასხვა ავტორის სახელმძღვანელოს და მასზე დაყრდნობით შექმნილ პროგრამებს სთავაზობდა მოსწავლეებს.
- გარკვეული შეუსაბამობა იყო არჩევით საგნებში, ასევე შემაჯამებელი დავალებების ორგანიზებაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექციამ ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შეიტანა ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში, გასწორდა რამდენიმე ტექნიკური ხარვეზიც. მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებით არსებითი ხარვეზი არ დაფიქსირებულა, მხოლოდ ლაბორატორიას არ ქონდა გამწოვი, რაზეც სკოლის დირექციამ გამოთქვა მზადყოფნა რომ გამოასწორებდნენ ხარვეზს.

სხდომის თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, თუ როგორ ხდებოდა 5 დღიანი განრიგის განაწილება 3 დღეზე. როდიდან და რა მიზეზით შემოიღეს ასეთი განრიგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს ეხებოდა მხოლოდ 12 კლასს, ვინაიდნ მათ უკვე ჩაბარებული ქონდათ საატესტატო გამოცდები და არ ქონდათ აბიტურიენტის საათები,

მშობლებთან შეთანხმებით შემოიღეს აღნიშნული გრაფიკი წინა სემესტრში. მან დაამატა, რომ ცვლილება უკვე შეიტანეს სასწავლო გეგმაში და შესაბამისად მეორე სემესტრში აღმოფხვრიდნენ აღნიშნულ ხარვეზს.

საბჭოს წევრმა, თამარ ფხალაძემ დასვა შეკითხვა, ექსპერტების მხრიდან თუ გადამოწმდა მოსწავლეთა დასწრება. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ დასწრება იყო.

საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ გამოთქვა მოსაზრება სკოლის მისიასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რომ მისია იყო გაუმართავი, ორჯერ მეორდებოდა ერთი და იგივე ფრაზა, საჭიროებდა დასახვერებას.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენით სურდა განსაზღვროდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 270 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

დისკუსიის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გეტისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 270-ით განსაზღვრის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა გრიგოლ მურლულიამ, რევაზ აფხაზავამ და მარინა უშვერიძემ.

#### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გეტს (ს/კ: 202388219) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 270-ით.



## 2. შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა. მან აღწერა მონიტორინგის შედეგები, დასკვნები და აღნიშნა, რომ სკოლა აკმაყოფილებდა სტანდარტების შესაბამის ყველა მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, მონიტორინგი გეგმიური იყო თუ რაიმე საკითხის პასუხად იყო დაგეგმილი, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ მონიტორინგი იყო გეგმიური და მოულოდნელი. ერთადერთი რაც მონიტორინგის დროს დაფიქსირდა იყო სავთო სჯულის საგნის სავალდებულო სტატუსი, რაც რეკომენდაციის საფუძველზე ადგილზევე შეიცვალა არჩევითად.

საბჭოს წევრმა მარინა უშვერიმერ დასვა შეკითხვა, სკოლაში თუ იყო საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მარინა ტალახაძემ უპასუხა, რომ სკოლა ამჟამად ემზადებოდა ავტორიზაციის ვიზიტისათვის, შესაბამისად დამატებით შეიძინეს კომპიუტერები და ამავე დროს მიმდინარეობდა სასკოლო დოკუმენტაციის გადამოწმება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 10

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის (საიდენტიფიკაციო კოდი: 245445610 ) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



### 3. შპს კავკასიის აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა. მან აღწერა მონიტორინგის შედეგები და დასკვნები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას მინიჭებული ქონდა ავტორიზაცია 5 წლის ვადით, თუმცა სკოლას ფუნქციონირება არ დაუწყია. სკოლისთვის გამოყოფილი იყო კავკასიის უნივერსიტეტის შენობის მე -5 სართული, სკოლას ავტორიზაციის მიღების დროინდელი დოკუმენტაცია წესრიგში ქონდა, თუმცა ამ ეტაპზე საჭიროებდა კორექტირებას. მატერიალური რესურსი შეესაბამებოდა სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, მონიტორინგი გეგმიური იყო თუ რაიმე საკითხის პასუხად იყო დაგეგმილი, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ ვინაიდან მოსწავლეთა ბაზაში მონაცემი არ ფიქსირდებოდა დაიგეგმა და განხორციელდა მონიტორინგი.

გრიგოლ მურლულიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელი იყო მონიტორინგის დაგეგმვა სასწავლო წლის დასაწყისში რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ სკოლა მზად იქნებოდა მოსწავლეთა მისაღებად. მან მიმართა დაწესებულებას, თუ როდის აცხადებდნენ მოსწავლეთა მიღებას, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ გაზაფხულისთვის გეგმავდნენ გამოცხადებას.

დიკუსიის შემდეგ საბჭოს მხრიდან ეთხოვა ხარისხის განვითარების ცენტრს დაწესებულებები მონიტორინგის განხორციელება სწავლის დაწყებამდე არა უგვიანეს 2 კვირით ადრე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა შპს კავკასიის აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 10

#### გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კავკასიის აკადემიის (საიდენტიფიკაციო კოდი: 405066020) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



#### 4. შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰქონდა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხის განხილვის დაწყებამდე დაწესებულების იურისტმა შორენა დევაძემ წამოაყენა შუამდგომლობა, გადადებულიყო შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა იმ დასაბუთებით, რომ დაწესებულებამ სასამართლოში გასაჩივრა ცენტრის დირექტორის ბრძანება დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის შესახებ. დაწესებულებას მიაჩნდა, რომ გასაჩივრებული ბრძანება იყო სამართლებრივად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო. დაწესებულების წარმომადგენელი აპელირებდა ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.

სხდომის თავმჯდომარემ მოითხოვა განმარტება, რამდენად იყო შესაძლებელი საკითხის განხილვა, თუ სასამართლოში მიმდინარეობდა საქმისწარმოება. საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსს, ლაშა მარგიშვილს, სთხოვა გამოეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის გაურკვეველი იყო როგორ უნდა შეეჩერებინა სასამართლოს მონიტორინგის ბრძანების მოქმედება, მაშინ როდესაც მონიტორინგის პროცესი დასრულებული იყო, სკოლა იცნობდა დასკვნას, ხოლო საბჭოს კი გადაწყვეტილება ჯერ არ ჰქონდა გამოტანილი. საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, საბჭოს სხდომაზე საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსმა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების წინაპირობა იყო, პირველ რიგში, სარჩელის მიღება სასამართლოში; ამასთან, გასაჩივრება ავტომატურად არ იწვევდა ამ აქტის მოქმედების შეჩერებას. აქტის მოქმედების შეჩერებისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო სასამართლოს შესაბამისი განჩინება სადაც აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მსგავსი განჩინება, რომლის წარდგენასაც შეძლებდა საბჭოს წევრებისათვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე განხორციელდა მხოლოდ სარჩელით სასამართლოსათვის მიმართვა. სასამართლოს ჯერ უნდა ემსჯელა სარჩელის დასაშვებობის საკითხზე,

N.J

შესაბამისად რაიმე განჩინება, რომლის წარდგენასაც მხარე შეძლებდა საბჭოსთვის, დაწესებულებას არ გააჩნდა.

საბჭოს წევრმა, ირინა აბულაძემ, მიმართა კითხვით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსს, იყო თუ არა საბჭო ვალდებული გადაედო საკითხის განიხლვა. ნინო ბეგიაშვილის თქმით, საკითხის გადადება წარმოადგენდა საბჭოს უფლებამოსილებას და არა - ვალდებულებას. ამასთან, ამ ეტაპზე ბუნდოვანი იყო ისიც, სასამართლო დააკმაყოფილებდა თუ არა მხარის შუამდგომლობას აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, ასეთი შუამდგომლობის არსებობის შემთხვევაში. ნინო ბეგიაშვილმა განმარტა, რომ ზოგადად არსებობდა მსგავსი შუამდგომლობის არდაკმაყოფილების მაღალი ალბათობაც, თუ სასამართლო მხედველობაში მიიღებდა იმ გარემოებას, რომ მონიტორინგის ვიზიტი უკვე განხორციელებული იყო სკოლაში. შესაბამისად, მონიტორინგის ვიზიტის შესახებ ბრძანების მოქმედების შეჩერება ვერ შეცვლიდა უკვე დამდგარ სამართლებრივ შედეგს.

საბჭოს წევრმა, შალვა ტაბატაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის განხილვისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა რას გადაწყვეტდა სასამართლო მონიტორინგის ვიზიტის შესახებ ბრძანების გასაჩივრების შედეგად.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაეფიქსირებიდა მოსაზრება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსს, რომელმაც აღნიშნა, რომ სასამართლოს შესაძლოა ემსჯელა უშუალოდ მონიტორინგის ვიზიტის შესახებ ბრძანების კანონიერებაზე, რაც იქნებოდა მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანი. ამ მიმართებით, ცენტრის დირექტორს გააჩნდა მონიტორინგის ვიზიტის ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისად სასამართლო უწყების მიღების შემთხვევაში, ცენტრი ჩაერთვებოდა ამ დავაში, როგორც მოწინააღმდეგე მხარე და სასამართლო გზით მოახდენდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას. რაც შეეხება მონიტორინგის ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნასა და საკითხის შინაარსობრივ ანალიზს, მასზე დავა სასამართლოში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თუ დაწესებულება ჩათვლიდა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება არ იქნებოდა მისთვის მისაღები და მოახდენდა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას. შესაბამისად, სანამ საბჭო არ განიხილავდა საკითხს, შინაარსობრივი დავა მხოლოდ მონიტორინგის ვიზიტის შესახებ ბრძანების გასაჩივრებით სასამართლოში ვერ მოხდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ 15:30 საათზე გამოაცხადა შესვენება. სხდომა განახლდა 16:00 საათზე.

საბჭოს წევრმა გრიგოლ მურლულიამ დატოვა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაფიქსირებული მოსაზრებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კენჭისყრაზე აყენებდა შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 7



კენჭისყრის შედეგების შესაბამისად, საბჭომ განაგრძო შპს შაპინის სახელობის სკოლა-ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა. მან აღწერა მონიტორინგის შედეგები და დასკვნები შაპინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სამივე სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით დაწესებულება დადგებითად შეფასდა. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით იყო ხარვეზი იმასთან დაკავშირებით, რომ რამოდენიმე მასწავლებელს არ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია, თუმცა მათგან ორმა აზერბაიჯანიდან გამოითხოვა დიპლომები, ხოლო ერთმა ჩააბარა მაგისტრატურაში და ამ გზით მოახდინა კვალიფიკაციის დადასტურება. ძირითად ხარვეზად სკოლას უფიქსირდებოდა ის გარემოება, რომ 2015 წლის ოქტომბრამდე დაწესებულებაში ფუნქციონირებდა თურქული სექტორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის გარეშე, ხოლო 2015 წლის 4 სექტემბერს ავტორიზაციის მიღების შემდგომ აღნიშნულ სექტორზე მყოფი მოსწავლეები ერთიანი სიით ჩაირიცხნენ ქართულ სექტორზე. 85 ბავშვი ერთიანი ბრძანებით ამოირიცხა თურქული სექტორიდან და ჩაირიცხა ქართულ სექტორზე, ისე რომ არ მომხდარა მათი განათლების აღიარება და არც ექსტერნის წესით მათი მზაობის დადგენა ზოგადი განათლების ცალკეულ კლასებში სწავლებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა პროგრამით მიღიოდა სწავლება თურქულ სექტორზე ან რა საბუთი გაიცემოდა სწავლის დასრულებისას, შაპინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილემ ნათია მაკარაძემ განაცხადა, რომ 2015 წლის 4 სექტემბერს როცა სკოლამ მიიღო ავტორიზაცია, სკოლაში ქართული სექტორთან ერთად არსებობდა თუქრული სექტორი. თურქულ სექტორზე სწავლობდნენ ბიზნესმენებისა და დიპლომატების შვილები, სულ 85 ბავშვი. თურქული სექტორი არაფორმალურად მოქმედებდა და სკოლა ზოგადი განათლების დამადასტურდებელ დოკუმენტს არ გასცემდა. თურქული სექტორის გაუქმებისათვის, სკოლამ გააფრთხილა მოსწავლეები და მშობლები, რათა ისინი სექტორის გაუქმების გამო გადასულიყვნენ სხვა სკოლებში. ამ ეტაპზე, სკოლაში რჩებოდა მხოლოდ 10 ბავშვი, დანარჩენები წავიდნენ სკოლიდან და მათ სკოლამ გაატანა ნიშნების ფურცლები.

ექსპერტმა მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ იგი იყო ავტირიზაციის ექსპერტი და შეეძლო განემარტა, რომ პრობლემური საკითხი ეხებოდა სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ბაზაში არ იყვნენ ასახულნი.

დაწესებულების იურისტმა განმარტა, რომ 2015 წლის 4 სექტემბერს საბჭომ მიიღო შაპინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება და ამავე დროს, საბჭომ მისცა მითითება დაწესებულებას, დაეხურა თურქული სექტორი და ეტაპობრივად განხორციელებინა მოსწავლეების გადაყვანა.

საბჭოს წევრმა შალვა ტაბატაძემ დასვა შეკითხვები, თუ სად იყო გაწერილი თურქული სექტორის არსებობის შესახებ სამინისტროსთან საჭირო შეთანხმების პროცედურა და რატომ გაიცა რეკომენდაცია თურქული სექტორის დახურვის შესახებ.

საბჭოს წევრმა რევას აფხაზავამ განმარტა, რომ სკოლას გაგზავნილი ჰქონდა განაცხადი ემისში თურქული სექტორის მოსწავლეების დარეგისტრირებისა და მოსწავლეების ბაზაში

ასახვის შესახებ. ამ პირზე წლების განმავლობაში გაიცემოდა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც რეალურად არ მოხმარდა ზოგადი განათლების მიზნებს. სახელმწიფო აფინანსებს მოსწავლეს, თუ ის გადის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის პროგრამას. ის, რომ სკოლას ავტორიზაციის მინიჭების დროს მიეცა რეკომენდაცია თურქული სექტორის დახურვაზე, წარმოადგენდა საბჭოს მხრიდან დათმობას და სკოლისათვის დამატებითი შესაძლებლობის მიცემას, საკუთარი მოქმედებები მოეყვანა კანონთან შესაბამისობაში და არ გულისხმობდა იმას, რომ დაწესებულებას განეხორციელებინა არაფორმალურად მოქმედი თურქული სექტორიდან მოსწავლეების ავტომატური გადაყვანა ქართულ სექტორზე პროცედურული დარღვევებით, რაც რაც სერიოზულ ხარვეზს წარმოადგენდა.

სხდომაზე დამსწრე დაწესებულების წარმომადგენელმა, საფფეთ ბაირაქთუთანმა განაცხადა, რომ მისთვის ბუნდოვანი იყო, თუ როგორ უნდა გადაეყვანათ მოსწავლეები წესების დაცვით. მათ ქონდათ გენერალური ლიცენზია 2015 წლამდე. შემდეგ მიიღეს საბჭოს რეკომენდაცია თურქული სექტორის დახურვასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ, სკოლაში განხორციელდა ორი მონიტორინგი. წარმომადგენელმა ითხოვა სკოლას შენარჩუნებოდა ავტორიზაცია და ცენტრს განეხორციელებინა კიდევ ერთი მონიტორინგის ვიზიტი.

საბჭოს წევრის, შალვა ტაბატაძის შეკითხვაზე, თუ ჰქონდათ ამ თურქული სექტორიდან გადაყვანილ მოსწავლეებს საგანმანათლებლო ისტორია, ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა უპასუხა, რომ ზოგს ჰქონდა და ზოგს არა. ჩარიცხვა ძალიან არათანმიმდევრულად და არაწორად იყო განხორციელებული. ერთიანი ბრძანებით 85 ბავშვი ჩაირიცხა ქართულ სექტორზე, როცა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვრულიყო თითოეული მოსწავლის გადაყვენის პირობები, ასევე უნდა ყოფილიყო ინდივიდუალური გეგმები, ჩატარებულიყო ექსტერნის პროცედურები და სხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ გააკეთა კომენტარი, რომ გაურკვეველი იყო თურქულ სექტორზე მიცემული განათლება ფორმალური იყო, თუ არაფორმალური. დაწესებულება მოსწავლეებს აძლევდა ნიშნების ფურცლებს, გასცემდა ბეჭდიან ქაღალდებს, იმის გაუთვალისწინებლად სად და როგორ შეძლებდნენ ამ დოკუმენტის გამოყენებას მოსწავლეები. ამდენად, სკოლის ქმედებებით არამხოლოდ დაირღვა მოქმედი კანონმდებლობა, არამედ ამ მოსწავლეებს რეალურად შეეზღუდათ ფორმალური განათლების მიღების უფლება.

რევაზ აფხაზავამ დაადასტურა, რომ საბჭოს რეკომენდაცია თურქული სექტორის გაუქმებასთან დაკავშირებით, დაწესებულებების მიერ არაკანონიერად განხორციელდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია მაკარაძემ დაამატა, რომ ამ 85 ბავშვიდან ამჟამად სკოლაში ფიქსირდებოდა 10 მოსწავლე, თუმცა ნახევარი გადასვლის პროცესში იმყოფებოდა. დაწესებულების იურისტის თქმით ნოემბრის მონიტორინგის დასკვნაში მხოლოდ გაკვრით იყო ნახსენები აღნიშნული საკითხი, რაზეც ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა უპასუხა, რომ დასკვნაში გარკვევით ეწერა თურქული სექტორის მოსწავლეების ბაზაში დაფიქსირების შესახებ.

ირინა აბულაძემ კომენტარში აღნიშნა, რომ ნოემბერში თუ იგივე ხარვეზი იყო დაფიქსირებული და ეს გახდა განმეორებითი მონიტორინგის მიზეზი, საინტერესი იყო,

რატომ ვერ მოხერხდა დაწესებულების მიერ წელიწადნახევრის განმავლობაში საკითხის მოგვარება.

საბჭოს წევრმა თამარ კაპანაძემ იკითხა, ექსპერტებმა თუ გადაამოწმეს ამ 10 ბავშვის დასწრება, რაზედაც ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა უპასუხა, რომ ამ 10- იდან 4 საერთოდ არ დადიოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ზემოხსენებული 4 ბავშვი უკვე წასული იყო სკოლიდან.

საბჭოს სხდომაზე ნათელი გახდა, რომ გარკვეული რაოდენობის მოსწავლეების ადგილსამყოფელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცნობი იყო სკოლისთვის და მისი დადგენა ვერ მოხდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს. თუმცა, ეს პირები კვლავ სარგებლობდნენ მოსწავლის აქტიური სტატუსით. საგულისხმოა, რომ ყველა ზემოაღნიშნულ პირზე წლების განმავლობაში გაიცემოდა ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც რეალურად არ მოხმარდა ზოგადი განათლების მიზნებს.

საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ იკითხა, თუ რამდენი მოსწავლე სწავლობდა ახლა ქართულ სექტორზე, ქართული სექტორისათვის თუ აკმაყოფილებდა სკოლა იყო სამივე სტანდარტის მოთხოვნებს და თურქული სექტორიდან გადმოყვანილ მოსწავლეებთან თუ ჩატარდა ინტერვიუები და რამდენად არიან ისინი ინტეგრირებულნი. ექსპერტმა ამზაშვილმა უპასუხა, რომ სკოლაში ამჟამად ირიცხებოდა 350 მოსწავლე, სკოლა აკმაყოფილებდა სამივე სტანდარტს, თუმცა განხილული საკითხიდან გამომდინარე, ექსპერტმა განაცხადა, რომ მისი შეფასებით, ორგანიზაციულ საკითხთან მიმართებაში სკოლამ ვერ შეასრულა პირობები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ინტერვიუ ჩატარებული იყო ამ მოსწავლეთაგან ერთთან, რომელმაც აღნიშნა რომ სკოლაში იყო მეგობრული გარემო და ეხმარებოდნენ ენის სწავლაში. ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტისას იგრძნობოდა კეთილგანწყობა და ადგილზევე ხდებოდა ზოგიერთი საკითხის გამოსწორება.

საბჭოს წევრმა შალვა ტაბატაძემ დასვა შეკითხვა ცენტრის წერილთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, დაწესებულების აპელირებით განხორციელდა თურქული სექტორის ეტაპობრივი გაუქმება. მან აღნიშნა, რომ თუ ცენტრიდან არასწორი მითითება იყო მიცემული, ეს საკითხი სხვაგვარად უნდა განხილულიყო. დარღვევა არსებობს, მაგრამ გამოსაკვეთი იყო ბრალეულობის საკითხი.

საბჭომ სთხოვა დაწესებულებას წარმოდგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან მიღებული წერილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მათ წერილი დაკარგული ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოში სადავო წერილის გადამოწმება. შედეგად გაირკვა, რომ არ ფიქსირდებოდა სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ნახსნები რეკვიზიტების შესაბამისი ცენტრის მიერ გაგზავნილი წერილი. ამდენად, დადგინდა რომ ცენტრის მსგავსი რეკვიზიტების წერილი დაწესებულებისათვის გაგზავნილი არ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შესაძლოა მსგავსი შინაარსის კომუნიკაცია შედგა არა წერილობით, არამედ - სატელეფონო საუბრის მეშვეობით.

საბჭოს თავმჯდომარე, ირინა აბულაძემ დასვა შეკითხვა, რამდენად სარგებლობდნენ მოსწავლეები გრიფირებული სახელმძღვანელოებით, თუ სკოლა საგნებს ინგლისურად ასწავლიდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ტექნიკური საგნების სწავლება მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე. დაწესებულების იურისტმა შორენა დევაძემ აღნიშნა, რომ სურდა საკუთარი მოსაზრება დაეფიქსირებინა საბჭოს სხდომაზე, რისი საშუალებაც მხარეს მიეცა საბჭოს თავმჯდომარის მხრიდან. დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია იყო ნებისმიერი საკითხი შეეთანხმებინა ცენტრთან, მონიტორინგის დასკვნაში ყველაფერი შეფასებული იყო დადებითად, მხოლოდ საუბარი იყო 10 თურქული სექტორის მოსწავლის ჩარიცხვის პრობლემაზე. დაკვნა იყო დაწესებულებისათვის სახელმძღვანელო დოკუმენტი. დასკვნაში კი არ ყოფილა მითითებული, თუ რა ვადაში უნდა განხორცილებულიყო შესაბამისი პროცედურა.

შორენა დევაძემ აქვე აღნიშნა, რომ საბჭოს თავმჯდომარე იყო ტენდენციური და დაადანაშაულა საბჭოს წევრებზე გავლენის მოხდენის მცდელობაში. შესაბამისად, მან იშუამდგომლა საბჭოს თავმჯდომარის აცილებაზე.

საბჭოს წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მსგავსი შუამდგომლობა მოკლებული იყო რეალურ საფუძველს. საბჭო საკითხს განიხილავდა მსჯელობის რეჟიმში და ყველა საბჭოს წევრს ჰქონდა აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მხარის შუამდგომლობის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა მისი აცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

საბჭოს თავმჯდომარე არ მონაწილეობდა კენჭისყრაში. კენჭისყრის შედეგების შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის აცილების საკითხი არ დაკმაყოფილდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა კვლავ ითხოვა სიტვა და საბჭოს სხდომაზე წაიკითხა ავტორიზაციის მინიჭების შესახებ ოქმიდან ის ნაწილი, რომელიც შეეხებოდა მოსწავლეთა ეტაპობრივად გადაყვანას. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ეს პირობა შესრულებული ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მართალია ხარვეზები არსებობს, მაგრამ დაწესებულებას მიმოწერისა და სატელეფონო კომუნიკაციის საფუძველზე, მიაჩნდა, რომ პროცედურებს სწორად ახორციელებდა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 2

D. J.

### გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32 მუხლის შესაბამისად, შპს შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (ს/კ:245618675) გააუქმდეს ავტორიზაცია.

თავმჯდომარე  
ირინა აბულაძე

მდივანი  
თამარ ფხალაძე

D. J.  
თ. ფხალაძე